

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება
№125/01-01 საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის თეორიული
ინფორმატიკის, გამოყენებითი ინფორმატიკის, პრაქტიკული ინფორმატიკის და ტექნიკური
ინფორმატიკის კათედრებზე გამომცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის № 59/2020 დადგენილების მე-2
პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

3 სექტემბერი, 2020 წ.
16:30

კომისიის ხუთი წევრიდან სხდომას ესწრებოდა ხუთივე წევრი: 1. თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. თსუ-ს პროფესორი გია სირბილაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მაგდა ცინცაძე; 5. საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ასოცირებული პროფესორი ქეთევან კუთხაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის, გამოყენებითი ინფორმატიკის, პრაქტიკული ინფორმატიკის და ტექნიკური ინფორმატიკის კათედრებზე ასისტენტ პროფესორების ვაკანსიებზე გამომცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
 2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.
1. **მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ალექსანდრე გამყრელიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.
- მან აღნიშნა, რომ კონკურსანტების შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4).
- კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე გამყრელიძემ მიმოიხილა კონკურსანტების დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები:
- ა) კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: **ზურაბ მოდებამეძე**.
- მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ასახულია კონკურსანტის შეფასების ფორმაში.
- შეფასების I კატეგორია:** კონკურსანტის ზურაბ მოდებამეძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში – გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან მისი პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიის – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა მაღალი: სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში – 2, სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები – 3; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე – 2; საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა – 4; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან – 3; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შესაბამისობაშია დარგთან; წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა თსუ-ში.

შეფასების IV კატეგორიაში – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) – კონკურსანტმა მიიღო შეფასება მაღალი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე ზურაბ მოდებამეს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ და როგორ უკავშირდება კვლევა მის საგანმანათლებლო საქმიანობას.

ზურაბ მოდებამემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ წლების მანძილზე იყო ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ქსელების სისტემური პროგრამისტი. ამჯერად აგრძელებს თანამშრომლობას ამ ინსტიტუტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება - მემორანდუმის საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ მისი კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: მისი ხელმძღვანელობით დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში შესრულდა ორი სამაგისტრო ნაშრომი. ასევე მისი ხელშეწყობით კომპიუტერულ მეცნიერებათა ბაკალავრიატის ორმა მეოთხეკურსელმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო გრიდ კონფერენციაზე დუბნის ინსტიტუტში (მომწვევი მხარის დაფინანსებით).

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით და საუნივერსიტეტო/საზოგადოებრივი აქტივობების მიხედვით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

ბ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის I ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: ლიანა ლორთქიფანიძემ.

მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ასახულია კონკურსანტის შეფასების ფორმაში.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ლიანა ლორთქიფანიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში – გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი: სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში – 2, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები – 5; h-ინდექსი – 2, g-ინდექსი – 5; მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ

სამეცნიერო კონფერენციებზე – 10; საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა – 4; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან – 3; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესაბამისობაშია დარგთან; წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა თსუ-ში.

შეფასების IV კატეგორიაში – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება დაბალი.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე ლიანა ლორთქიფანიძეს დაესვა შეკითხვა კომპიუტერული ლინგვისტიკის კურსის შინაარსის შესახებ და რამდენად შესაძლებელია მისი ინტეგრირება კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო სასწავლო პროგრამასთან.

ლიანა ლორთქიფანიძემ განმარტა, რომ კურსი „კომპიუტერული ლინგვისტიკა“ დღესდღეობით მიყავს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების პროგრამის ფარგლებში. კონკურსანტი თვლის, რომ შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ ამ საგნის ჩართვა არჩევითი კურსის სახით.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით და დისკუციაში ჩართულობის მანერით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

გ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **გამოყენებითი ინფორმატიკის** კათედრაზე ასისტენტ პროფესორის I ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: **გელა ბესიაშვილმა**.

მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ასახულია კონკურსანტის შეფასების ფორმაში.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის გელა ბესიაშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში – გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიის – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **საშუალო**: სამეცნიერო აქტივობებიდან უფიქსირდება 6 გამოქვეყნებული ნაშრომი; ციტირების ინდექსი – 32, h-ინდექსი – 3; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე – 3; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან; წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან კვლავ გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა თსუ-ში.

შეფასების IV კატეგორიაში – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება **მაღალი**, იგი არის დიდი რაოდენობით სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი; სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი (2016 – 2020 წწ.) წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ მას აქვს მაღალი საუნივერსიტეტო და სასწავლო აქტივობები.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე გელა ბესიაშვილს დაესვა შეკითხვა მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

გელა ბესიაშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მთელი რიგი სამაგისტრო ნაშრომებს, რომლის შედეგების გამოქვეყნებას მიზანშეწონილად თვლის. სამწუხაროდ, ეს ბევრ შემთხვევაში ვერ ხერხდება და ამ კუთხით საჭიროა მეტი ძალისხმევის განხორციელება.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, დისკუსიაში ჩართულობის მანერით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

დ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ორმა კანდიდატმა:

1. გურამ კაშმაძემ
2. ნათელა ანანიაშვილმა.

1) გურამ კაშმაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ასახულია კონკურსანტის შეფასების ფორმაში.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის გურამ კაშმაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში – გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები (7 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო საფეხურის კურსი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიის – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება საშუალო: სამეცნიერო აქტივობებიდან უფიქსირდება 6 გამოქვეყნებული ნაშრომი, მათ შორის ერთი Impact Factor PИHЦ 2018 -ის მქონე ჟურნალში; მოხსენებები ადგილობრივ კონფერენციებზე – 6; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შეესაბამება ვაკანსიის პროფილს; წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში კონკურსანტი აღნიშნავს, რომ საფუძვლიანად იცნობს მეთოდოლოგიას, რომელსაც ემყარება „კომპიუტერული მეცნიერება“-ის კურიკულუმი და შეუძლია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას.

შეფასების IV კატეგორიაში – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) – კონკურსანტს არა აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია, შესაბამისად, მისი შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის დაბალი.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე გურამ კაშმაძემ კომისიის წევრების თხოვნით ისაუბრა თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. აქვს ბევრი იდეა და გეგმავს მუშაობის გაგრძელებას თავისი „ტრადიციული“ თემატიკის ფარგლებში, ასევე გამოიკვეთა მისთვის ახალი და საინტერესო

სამეცნიერო კვლევების მიმართულებები. ახლაც მუშაობს სამეცნიერო ნაშრომზე, რომლის შედეგების გამოქვეყნებას აპირებს.

პრეტენდენტს დაესვა შეკითხვა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ. გურამ კაშიაძემ გამოთქვა მზაობა გააგრძელოს სასწავლო პროცესში მონაწილეობა და შეუძლია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას. იგი მზად არის პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისთვის როგორც აუდიტორიებში, ასევე დისტანციურად.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილება, დისკუსიაში ჩართულობის მანერა და პროფესიული უნარ-ჩვევები შეესაბამება კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიას.

2) ნათელა ანანიაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ასახულია კონკურსანტის შეფასების ფორმაში.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნათელა ანანიაშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში – გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება **საშუალო:** კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს; კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსებიდან (7 საბაკალავრო საფეხურის კურსი) მხოლოდ 2 წარმოადგენს თეორიული ინფორმატიკის კათედრის კურსს, 4 - არის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის კურსები, 1 - ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის კურსია, ე.ი. 5 კურსი არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიის – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **საშუალო:** სამეცნიერო აქტივობებიდან უფიქსირდება 5 გამოქვეყნებული ნაშრომი, მათ შორის ერთი Impact Factor PИHЦ 2018-ის მქონე ჟურნალში; ციტირების ინდექსი - 5, h-ინდექსი - 1; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე – 6; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან; წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოთქმულია კონკურსანტის მზაობა გააგრძელოს კვლევები თსუ-ის ფარგლებში, მომავალში კი ამ უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობით. კონკურსანტს ასევე აქვს სურვილი მის მიერ წაკითხული კურსები ან/და მონათესავე კურსები მომავალში წაუკითხოს თსუ-ს სტუდენტებს.

შეფასების IV კატეგორიაში – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) – კონკურსანტს არა აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია, შესაბამისად, მისი შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის **დაბალი**.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე ნათელა ანანიაშვილს დაესვა შეკითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა კენჭი ეყარა ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე და არა პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე, რაც ბუნებრივი იქნებოდა მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული კურსების მიხედვით.

ნათელა ანანიაშვილმა განმარტა, რომ დიდი ხნის სურვილი აქვს აწარმოოს კვლევები ალგორითმების მიმართულებით.

შეკითხვას, თუ რა მიმართულებით აწარმოებს კვლევებს ამჟამად, პრეტენდენტმა უპასუხა, რომ აგრძელებს მუშაობას მისი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის მიმართულებით. ახლაც მუშაობს სამეცნიერო ნაშრომზე, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებს.

კომისიის წევრთა შეკითხვას როგორ მოხდა, რომ არ აგრძელებს მოღვაწეობას არცერთ უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა, პრეტენდენტმა უპასუხა, რომ აქვს სურვილი გააგრძელოს კვლევები თსუ-ის ფარგლებში და ასევე მის მიერ წაკითხული კურსები ან/და მონათესავე კურსები მომავალში წაუკითხოს თსუ-ს სტუდენტებს.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა. კენჭისყრის შედეგებია:

კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის

ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე კენჭი ეყარა პრეტენდენტს

ზურაბ მოდებაძე (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე კენჭი ეყარა პრეტენდენტს

ლიანა ლორთქიფანიძე (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);

გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე კენჭი ეყარა პრეტენდენტს

გელა ბესიაშვილი (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);

თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე კენჭი ეყარა პრეტენდენტებს

1. გურამ კაშმაძე (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);

2. ნათელა ანანიაშვილი (მომხრე - 0, წინააღმდეგი - 5).

დაადგინეს: თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის

ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: ზურაბ მოდებაძე;

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: ლიანა ლორთქიფანიძე;

გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: გელა ბესიაშვილი;


თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: გურამ კაშმაძე.

2. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად


დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


კომისიის თავმჯდომარე,
პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე




კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
პროფ. გია სირბილაძე



კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. ქეთევან კუთხაშვილი



კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. მაგდა ცინცაძე



კომისიის მდივანი,
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი

